



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #10

2015 წლის ნოემბერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების - ნაგვისკონტეინერების, დეკორატიული ურნების და ნაგვის ურნებისა(ა)იპ „დუშეთისმუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურისთვის“ უსასყიდლოდ სარგებლობაში(თხოვების ფორმით)გადასაცემადდუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს,ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს“, უსასყიდლოდ სარგებლობაში (თხოვების ფორმით) გადასცესდუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ:
კონტეინერები 86 (ოთხმოცდა ექვსი) ერთეული (საბალანსო ღირებულებით 117415,8, ნარჩენიღირებულებით 23483 ლარი).
ნაგვის კონტეინერები 125 (ასოცდახუთი) ერთეული (საწყისი საბალანსო ღირებულებით 62360 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 24944 ლარი).
ნაგვის ურნები 12 (თორმეტი) ერთეული (საწყისი საბალანსო ღირებულებით 9000 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით3600 ლარი).
სანაგვე კონტეინერი 1 (ერთი) ერთეული (საბალანსო ღირებულებით 510 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 102 ლარი).
ნაგვის კონტეინერები 9 (ცხრა) ერთეული (საბალანსო ღირებულებით 6750 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 1350 ლარი).
ნაგვის კონტეინერები (1100 ლიტ. ტევადობით) 60 (სამოცი) ერთეული (საწყისი საბალანსო ღირებულებით 60000 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 12000 ლარი).
დეკორატიული ურნები 10 (ათი) ერთეული (საწყისი საბალანსო ღირებულებით 4494 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 898.8 ლარი).

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.